



ზოგადი უნარების ტესტი

2010

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – ვერბალური და მათემატიკური – ნაწილისგან. თითოეული ნაწილი 40 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე). ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი. დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდებით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას !

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია, ასევე, მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

1. თამაში : მოთამაშე

- (ა) ომი : მეომარი
- (ბ) ოჯახი : მეოჯახე
- (გ) ხანძარი : მეხანძრე
- (დ) მანქანა : მემანქანე

2. მზე : ნისლი

- (ა) ქარი : ნამქერი
- (ბ) თოვლი : ჭყაპი
- (გ) წვიმა : მტვერი
- (დ) ყინული : ზვავი

3. ჰეგემონია : წონასწორობა

- (ა) კონფლიქტი : ანარქია
- (ბ) ოკუპაცია : სუვერენიტეტი
- (გ) კრიზისი : დესტაბილიზაცია
- (დ) ინტეგრაცია : გლობალიზაცია

4. დეტექტიური ნაწარმოები : დანაშაული

- (ა) სიმპოზიუმი : მოხსენება
- (ბ) კონსილიუმი : დაავადება
- (გ) ოლიმპიადა : შეჯიბრი
- (დ) არბიტრაჟი : სანქცია

5. გუთანი : ნადიმი

- (ა) სალამური : იალალი
- (ბ) კვერთხი : სასახლე
- (გ) მიკროსკოპი : ექსპერიმენტი
- (დ) პალიტრა : გამოფენა

6. წინაპირობა : საწინდარი

- (ა) შედეგი : პროდუქტი
- (ბ) შეფასება : კრიტერიუმი
- (გ) მიზანი : სტრატეგია
- (დ) დასკვნა : ანალიზი

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

7. საკუთარი შეხედულების შეცვლა და ახალი იდეის გაზიარება, რომელიც ----- გზაზე გაყენებს, ----- შენს თავისუფლებას, ----- ეს არის მოქმედება, წარმართული შენი გონების და შენივე ნების ----- .

- (ა) ჭეშმარიტ / არაფრით ემუქრება / თუმცა, / თანახმად
- (ბ) მცდარ / აუცილებლად ზღუდავს / თუმცა, / წინააღმდეგ
- (გ) მცდარ / არაფრით ემუქრება / რადგან / წინააღმდეგ
- (დ) ჭეშმარიტ / ოდნავადაც არ ზღუდავს / რადგან / თანახმად

8. ერთმანეთის შესახებ ჩვენი ცოდნა ----- ურთიერთობისთვის. ----- გმირთა შინაგანი სამყარო მკითხველისთვის ----- . აი, რატომ არის, რომ ----- წარმოდგენა გვაქვს, ვიდრე ----- .

- (ა) მხოლოდ მიახლოებითაა, თუმცა, ეს საკმარისია / ლიტერატურაში კი, თუ ავტორს სურს, / შეიძლება სრულიად გამჭვირვალე იყოს / ლიტერატურულ პერსონაჟებზე ხშირად უფრო ნათელი / რეალურ ადამიანებზე, მათ შორის ახლობლებზეც
- (ბ) მხოლოდ მიახლოებითაა, თუმცა, ეს საკმარისია / ასევე, ლიტერატურაში ავტორი ზოგჯერ ვერ ახერხებს, რომ / სავსებით გამჭვირვალე იყოს / ლიტერატურულ პერსონაჟებზე უფრო ბუნდოვანი / რეალურ ადამიანებზე, მათ შორის ახლობლებზეც
- (გ) ზედმიწევნით სრული უნდა იყოს. ეს აუცილებელია / ლიტერატურაში კი, თუ ავტორს სურს, / შეიძლება სავსებით გამჭვირვალე იყოს / რეალურ ადამიანებზე, მათ შორის ახლობლებზეც, ხშირად უფრო ბუნდოვანი / ლიტერატურულ პერსონაჟებზე
- (დ) ზედმიწევნით სრული უნდა იყოს. ეს აუცილებელია / ასევე, ლიტერატურაში ავტორი ყველაფერს აკეთებს, რომ / ბუნდოვანი არ იყოს / რეალურ ადამიანებზე, მათ შორის ახლობლებზეც, ხშირად უფრო ნათელი / ლიტერატურულ პერსონაჟებზე

9. არქაული ეპოქის ელინი იყო ----- ადამიანი, რომლის მოთხოვნილებას ----- წარმოადგენდა, ----- აღიარება, რომელთა ----- .

- (ა) უნიციატელო, მორჩილი / რეფორმისტული იდეების ერთგულება კი არ / არამედ ისეთ ჭეშმარიტებათა / კეთილმყოფელობაში დაარწმუნებდა საკუთარ ხელისუფლებას
- (ბ) უნიციატელო, მორჩილი / რეფორმისტული იდეების ერთგულება / და არა – ისეთი დოგმების / კეთილმყოფელობას თავად ირწმუნებდა გონების თვალთ
- (გ) მაძიებელი, ანალიტიკოსი / ტრადიციულ დოგმათა ერთგულება კი არ / არამედ ისეთ ჭეშმარიტებათა / კეთილმყოფელობას თავად ირწმუნებდა გონების თვალთ
- (დ) მაძიებელი, ანალიტიკოსი / ტრადიციულ დოგმათა ერთგულება / და არა – ისეთი იდეების / კეთილმყოფელობაში დაარწმუნებდა საკუთარ ხელისუფლებას

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

10. მოცემულია:

- ყველა წიწვოვანი ხე მარადმწვანეა
- ამ ტყეში ყველა ხე წიწვოვანია

დავუშვათ, რომ ეს დებულებები ჭეშმარიტია. რომელი დასკვნა გამომდინარეობს მათგან?

- (ა) ყველა მარადმწვანე ხე წიწვოვანია
- (ბ) ყველა მარადმწვანე ხე ამ ტყეში იზრდება
- (გ) მხოლოდ წიწვოვანი ხეებია მარადმწვანე
- (დ) ამ ტყეში ყველა ხე მარადმწვანეა

11. მოცემულია:

- მეცნიერები ოდესმე აუცილებლად აღმოაჩინენ ახალ გალაქტიკას

შემდეგი წინადადებებიდან რომელია მოცემულის ტოლფასი?

- (ა) შეუძლებელია, მეცნიერებმა ოდესმე აღმოაჩინონ ახალი გალაქტიკა
- (ბ) შესაძლებელია, მეცნიერებმა ოდესმე აღმოაჩინონ ახალი გალაქტიკა
- (გ) შესაძლებელია, მეცნიერებმა ვერასოდეს აღმოაჩინონ ახალი გალაქტიკა
- (დ) შეუძლებელია, მეცნიერებმა ვერასოდეს აღმოაჩინონ ახალი გალაქტიკა

12. მოცემულია:

- თუ A-ს მონათხრობი მართალი არ არის, მაშინ საგზაო მოძრაობის წესი C-ს დაურღვევია
- თუ A ყველაფერს ზუსტად მოგვითხრობს, მაშინ B-ს ჩვენება არ შეესაბამება სინამდვილეს

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება გამომდინარეობს ამ წინამძღვრებიდან?

- (ა) საგზაო მოძრაობის წესი დაარღვია C-მ
- (ბ) C-ს საგზაო მოძრაობის წესი არ დაურღვევია
- (გ) საგზაო მოძრაობის წესი დაარღვია C-მ, თუკი B-ს ჩვენება შეესაბამება სინამდვილეს
- (დ) ზემოთ მოცემული პასუხებიდან არც ერთი არ არის სწორი

13. მყვინთავებმა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან აღმოაჩინეს გამოქვაბული, რომელშიც შესვლა მხოლოდ ზღვიდან, წყალქვეშა გვირაბით შეიძლება. გამოქვაბული წყლით არის სავსე და მასში ბევრი სტალაგმიტია. სტალაგმიტები მინერალების სვეტებია, რომელთა წარმოშობის მექანიზმი ასეთია: თუ გამოქვაბულის ფსკერზე ერთსა და იმავე ადგილზე დიდი ხნის განმავლობაში ეცემა წყლის წვეთები, ამ ადგილას ნელ-ნელა ილექება წყალში არსებული მინერალები და, საბოლოოდ, ასე დალექილი შრეები სვეტებს წარმოქმნის. გამოქვაბულში სტალაგმიტების არსებობის საფუძველზე მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ხმელთაშუა ზღვის დონე ოდესღაც ახლანდელზე უფრო დაბალი იყო.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება აყენებს ეჭვქვეშ ამ ვარაუდს?

- (ა) იმ პერიოდში, როდესაც გამოქვაბულში სტალაგმიტები ყალიბდებოდა, გამოქვაბულს ხმელთაშუა ზღვასთან რამდენიმე მიწისქვეშა გვირაბი აკავშირებდა
- (ბ) გამოქვაბულის ხმელთაშუა ზღვასთან დამაკავშირებელი გვირაბი მხოლოდ მოგვიანებით გაჩნდა, მანამდე კი გამოქვაბული ზღვისგან იზოლირებული იყო
- (გ) გამოქვაბულში არსებული სტალაგმიტების მინერალური შემადგენლობა ხმელთაშუა ზღვის წყლის მინერალური შემადგენლობის მსგავსია
- (დ) ხმელთაშუა ზღვის წყალში მინერალების კონცენტრაცია ახლა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმ დროს, როცა გამოქვაბულში სტალაგმიტები ყალიბდებოდა

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ცნობილმა მოგზაურმა, კარსტენ ნიბურმა, ლურსმული ტექსტების უამრავი ასლი ჩამოიტანა ევროპაში სპარსეთის ძველი დედაქალაქის, პერსეპოლისის, ნანგრევებიდან. ეს ნანგრევები სპარსელთა ძველი მეფეების გრანდიოზული სასახლის ნაშთები აღმოჩნდა. თიხის ფირფიტებზე შესრულებული წარწერები საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ზოგიერთზე გარკვევით ჩანდა სამი სხვადასხვაგვარი დამწერლობა. ცნობილია, რომ ძვ. წ. 540 წელს სპარსელთა მეფემ კიროსმა სასტიკად დაამარცხა ბაბილონელები, დაიპყრო მათი ქვეყანა და დააარსა პირველი დიდი სპარსული სამეფო. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ პერსეპოლისის წარწერებში ერთ-ერთი მაინც გამარჯვებულთა ენაზე იქნებოდა შესრულებული. ძველსპარსული ტექსტი შუა სვეტში უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ტექსტებში განსაკუთრებით ხშირად მეორდებოდა ნიშანთა ერთი ჯგუფი და ერთი ირიბი ნიშანი.

გერმანელმა მეცნიერმა გროტეფენდმა, რომელსაც პერსეპოლისის წარწერების რამდენიმე ასლის გარდა არაფერი გააჩნდა, სანაძლეო დადო, რომ ლურსმულ ტექსტებს წაკითხავდა. გროტეფენდმა არ იცოდა არც ერთი იმ ენათაგან, რომლებზეც შესრულებული იყო წარწერები. მას შეეძლო მხოლოდ ზუსტად აეწერა და შეესწავლა ისინი. მიუხედავად იმისა, რომ ლურსმული (სოლისებური) ნიშნები სხვადასხვა მხარესაა მიმართული, გროტეფენდმა დაადგინა, რომ ნიშანთა ძირითადი მიმართულება მაინც ორია: ზემოდან ქვემოთ და მარცხნიდან მარჯვნივ. ამის საფუძველზე მან დაასკვნა, რომ ლურსმული წარწერები მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება.

ჯერ კიდევ გროტეფენდამდე გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ნიშნების ერთი ჯგუფი, რომელიც ყველაზე უფრო ხშირად მეორდებოდა ლურსმულ ტექსტებში, „მეფეს“ აღნიშნავდა, ირიბი ნიშანი კი სიტყვათა გამყოფი იყო. გროტეფენდის აზრით, თუ წარწერაში გვხვდება ნიშანთა ჯგუფი „მეფე“, მაშინ მისი წინა სიტყვა (ანუ ნიშანთა წინა ჯგუფი) მეფის სახელი უნდა იყოს. გროტეფენდმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ თითქმის ყველა ფირფიტაზე იყო ნიშანთა ასეთი ჯგუფის, ანუ სახელის მხოლოდ ორი ვარიანტი (პირობითად, X და Y). გროტეფენდის აზრით, ეს იმას ნიშნავდა, რომ წარწერები მხოლოდ ორ მეფეს ეხებოდა. ამასთან, მან აღმოაჩინა წარწერები, რომლებშიც ორივე ვარიანტი ერთდროულად იყო გამოსახული. შესაძლოა, ლაპარაკი ყოფილიყო მამასა და შვილზე. გარდა ამისა, ერთ ფირფიტაზე, რომელზეც ეს სახელები იყო გამოსახული, გროტეფენდმა გამოყო ნიშანთა მესამე ჯგუფი, სავარაუდოდ, ისევ სახელი, რომელსაც არ მოსდევდა ნიშანთა ჯგუფი „მეფე“. პირობითად, ეს ამგვარად შეიძლება გამოისახოს:

Y მეფე, ძე X მეფისა; X მეფე, ძე Z-ისა.

გროტეფენდმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ Z-ს არ მოსდევდა სიტყვა, რომლის მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „მეფე“. ამრიგად, თუ მისი ჰიპოთეზა სწორი იყო, მაშინ წარწერაზე გვაქვს ასეთი რიგი: შვილი – მამა – პაპა. ამასთან, მამა და შვილი მეფეები იყვნენ, პაპა კი მეფე არ ყოფილა. გროტეფენდმა დაიწყო სპარსელ მეფეთა გენეალოგიის შესწავლა. მან გამორიცხა მეფეები კიროსი და კამბიზი, რადგან წარწერაში მოხსენებულ მეფეთა სახელების გრაფიკული გამოსახულებები სხვადასხვა ნიშნით იწყებოდა. არ იყო საფიქრებელი, აგრეთვე, კიროსი და არტაქსერქსე, რადგან პირველი სახელი მეტისმეტად მოკლეა, მეორე კი – გრძელი. რჩებოდა მხოლოდ დარიოსი და ქსერქსე, რომლებიც მეფეები იყვნენ, ქსერქსეს მამა ჰისტასპი კი მეფე არ ყოფილა. გროტეფენდმა ბერძნულ წყაროებში (ჰეროდოტესთან) მოხსენებულ სპარსელ მეფეთა სახელებს შეუსაბამა მათი სპარსული ფორმები. ამით მკვლევარმა დააზუსტა ამ სახელებში შემავალი ყველა ნიშანი, წაკითხა მეფეთა სახელები, ტიტულები და დაადგინა ის ენა, რომელზეც შედგენილი იყო წარწერა.

14. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელშია სრულად წარმოდგენილი პერსეპოლისის წარწერების შესწავლის საწყის ეტაპზე მიღწეული შედეგები? (უპასუხეთ I აბზაცის მიხედვით)

- (ა) ლურსმული წარწერები, ძირითადად, თიხის ფირფიტებზეა შესრულებული; ლურსმული ტექსტები შედგენილია სხვადასხვა ენაზე; რამდენჯერმე მეორდება ნიშანთა ერთი ჯგუფი
- (ბ) ლურსმულ წარწერებში ნიშნები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან; შუა სვეტის წარწერა ძველსპარსულ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი; ხშირად მეორდება ირიბი ნიშნები
- (გ) ლურსმულ წარწერებში ჩანს სამი სხვადასხვაგვარი დამწერლობა; წარწერათა ცენტრალურ ნაწილში ტექსტი ძველსპარსულ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი; გარკვეული სისტემურობაა ნიშნებთან დაკავშირებით
- (დ) თიხის ფირფიტები პერსეპოლისის ნანგრევებიდანაა; წარწერების ენა ძველსპარსული უნდა იყოს; ხშირად მეორდება ნიშანთა ერთი ჯგუფი და ირიბი ნიშნები

15. როგორ დაადგინა გროტეფენდმა, რომ ლურსმული წარწერები მარცხნიდან მარჯვნივ იკითხება?

- (ა) მან შეისწავლა პერსეპოლისის წარწერები და, რადგან ცენტრში სპარსული ტექსტი იყო, ივარაუდა, რომ პერსეპოლისის სხვა წარწერებიც მარცხნიდან მარჯვნივ იკითხებოდა
- (ბ) ყველა ლურსმული ნიშანი მარცხნიდან მარჯვნივ იყო მიმართული და, შესაბამისად, ტექსტის წაკითხვაც ამ მიმართულებით იყო სავარაუდებელი
- (გ) პერსეპოლისის წარწერებში ირიბი ნიშნები დახრილი იყო მარცხნიდან მარჯვნივ, შესაბამისად, ისინი უნდა ყოფილიყო მიჩნეული ორიენტირებად წარწერის მიმართულების დადგენის პროცესში
- (დ) ლურსმული ნიშნები სხვადასხვა მხარეს იყო მიმართული, თუმცა, ნიშანთა მიმართულება, ძირითადად, ზემოდან ქვემოთ ან მარცხნიდან მარჯვნივ იყო

16. რა როლი შეასრულა სახელის აღმნიშვნელი ნიშნების ჯგუფის ორი ვარიანტის გამოყოფამ ლურსმული წარწერების გაშიფვრის პროცესში?

- (ა) თუ ტექსტში სახელის აღმნიშვნელი ნიშნების ჯგუფის ორი განსხვავებული ვარიანტი აშკარად ჩანდა, ეს იმის მიმანიშნებელი იყო, რომ სასახლე, რომლის ნანგრევებშიც იპოვეს ეს ფირფიტები, ეკუთვნოდა ორ მეფეს – მამასა და შვილს
- (ბ) თუ ტექსტში ხშირად გამოვლენილი ჯგუფი აღნიშნავდა „მეფეს“, ამ ნიშანთა წინა ჯგუფი უნდა ყოფილიყო მეფის სახელი, ერთ წარწერაში მისი ორი ვარიანტის არსებობა კი მიანიშნებდა რაიმე ნიშნით დაკავშირებულ ორ მეფეზე
- (გ) თუ სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილ ფირფიტებზე ორი მეფის სახელის გარჩევა შეიძლებოდა, წარწერების გასაშიფრად საკმარისი იყო ამ სასახლის მკვიდრ მეფეთა სახელებთან მათი მისადაგება
- (დ) თუ დიდი სპარსული სახელმწიფოს დამაარსებელთა ტიტულები დაემთხვეოდა ლურსმულ წარწერებში მიკვლეულ მეფეთა ტიტულებს, ეს იქნებოდა გარდატეხა ლურსმული ტექსტების გაშიფვრის საქმეში

17. რატომ შეისწავლა გროტეფენდმა სპარსელ მეფეთა გენეალოგია?

- (ა) უნდა დაედგინა სამეფო საგვარეულოდან სამი პირის სახელი, რომელთაგან ორს, მამა-შვილს, სამეფო ტიტული ჰქონდა, მათი ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენელს კი – არა
- (ბ) უნდა დაეზუსტებინა სამეფო ოჯახის ორი წარმომადგენლის სახელი, რომელთაგან ორივეს მეფის ტიტული ჰქონდა და რომლებიც ერთ ეპოქაში მეფობდნენ პერსეპოლისში
- (გ) უნდა დაეზუსტებინა სამი მეფის სახელი და დაედგინა ის ენა, რომელზეც შედგენილი იყო ამ მეფეთა მმართველობის დროს შესრულებულ წარწერათა უმრავლესობა
- (დ) უნდა დაედგინა ორი მეფისა და სამეფო ოჯახის ერთი წარმომადგენლის სახელები, რათა დაემტკიცებინა, რომ ჰეროდოტეს ცნობები სწორედ ამ საგვარეულოს ეხებოდა

18. ტექსტში წარმოდგენილია გასაშიფრი წარწერის სქემა:
Y მეფე, ძე X მეფისა; X მეფე, ძე Z-ისა

რა ფუნქცია აქვს წარწერის ამგვარ გამოსახვას?

- (ა) უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ სიტყვა „მეფე“ სამჯერ მეორდება, X, Y და Z კი ძველი სპარსეთის სამი სხვადასხვა მეფის სახელს აღნიშნავს
- (ბ) იქმნება წარწერის ერთგვარი ვიზუალური ხატი, რითაც უფრო იოლად აღსაქმელი ხდება ამ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის არსებული მიმართება
- (გ) X, Y და Z სიმბოლოები ნათელს ხდის წარწერის შინაარსს, რადგან სიმბოლოს ზოგადი თვისება ნიშნისა და აღსანიშნის ერთიანობაა
- (დ) წარწერის ამ ფორმით წარმოდგენა ლურსმული დამწერლობის ზოგად კანონზომიერებას ავლენს, რაც ხელს უწყობს მისი შინაარსის ადეკვატურად ინტერპრეტირებას

19. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ აღმოჩნდა გადამწყვეტი ლურსმული დამწერლობის გაშიფვრის პროცესში?

- (ა) წარწერის ენის ცოდნა
- (ბ) ნიშანთა ერთი ჯგუფის ხშირად გამეორება
- (გ) Z-ის შემდეგ ნიშანთა ხშირად გამეორებული ჯგუფის არარსებობა
- (დ) სპარსეთის მეფეთა ბერძნული სახელების სპარსული ეკვივალენტები

20. ცნობილია, რომ ეგვიპტური იეროგლიფები ფრანგმა მეცნიერმა შამპლიონმა გაშიფრა. მას ჰქონდა სამენოვანი წარწერა, ამასთან, გასაშიფრი ტექსტის პარალელური ბერძნული თარგმანი. შამპლიონმა ბერძნული ენაც იცოდა და კოპტურიც (ეგვიპტური ენის განვითარების ბოლო საფეხური), მაგრამ მისთვის უცნობი იყო, იეროგლიფები სიტყვებს აღნიშნავდა, ცნებებს, მარცვლებს თუ ასოებს.

სავარაუდოდ, რა უპირატესობა ჰქონდა გროტეფენდს შამპლიონთან შედარებით?

- (ა) გროტეფენდმა იცოდა, სად აღმოაჩინეს ლურსმული წარწერები, რომელ მეფეებს ეკუთვნოდა გასაშიფრი ტექსტი და ადვილად ამოიკითხა მათი სახელები
- (ბ) გროტეფენდამდე მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ლურსმულ ტექსტებში ხშირად გამეორებული ნიშანთა ჯგუფი იყო სიტყვა და აღნიშნავდა ერთ-ერთი მეფის სახელს
- (გ) გროტეფენდმა შეისწავლა სპარსელ მეფეთა გენეალოგია და იპოვა ის სახელები, რომლებიც ფირფიტაზე ეწერა, შამპლიონს კი ეგვიპტელ ფარაონთა გენეალოგია არ ჰქონდა
- (დ) გროტეფენდამდე არსებობდა ვარაუდი, რომ ხშირად გამეორებული ირიბი ნიშანი სიტყვათა გამყოფი იყო, ეს კი სისტემის სპეციფიკაზე მიანიშნებდა – ნიშნები ასოებს აღნიშნავდა

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. მათ გასწვრივ მოცემულია სიტყვა, რომელსაც სავარაუდო პასუხებიდან უნდა შეუსაბამოთ ერთ-ერთი ვარიანტი, ისე, რომ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსი (ანალოგიური) იყოს.

21. სცენარისტი : მაყურებელი

- (ა) მობინადრე
- (ბ) ინჟინერი
- (გ) მშენებელი
- (დ) კონსტრუქტორი

არქიტექტორი :

22. ნებართვა : ათავისუფლებს

- (ა) აღკვეთს
- (ბ) აზუსტებს
- (გ) ადასტურებს
- (დ) ავალდებულებს

ხელშეკრულება :

23. ბილიკი : გზატკეცილი

- (ა) ნერვი
- (ბ) მყესი
- (გ) არტერია
- (დ) სისხლძარღვი

კაპილარი :

24. ვეფხვი : პანტერა

- (ა) ბუჩქი
- (ბ) ბოლქვი
- (გ) ვარდი
- (დ) ყოჩივარდა

ია :

25. აღწერა : რეაქცია

- (ა) განკურნება
- (ბ) აღდგენა
- (გ) შეუვალობა
- (დ) ჯანმრთელობა

იმუნიტეტი :

26. არტილერისტი : კავალერისტი

- (ა) ორნამენტი
- (ბ) ბარელიეფი
- (გ) პალიტრა
- (დ) ფერწერა

ფრესკა :

წინადადებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (/) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადადებას მოგვცემს.

27. შეხედულება, რომლის თანახმად ნებისმიერი სოციალური შეზღუდვა ----- , ადამიანის უტოპიურ და არარეალისტურ გაგებას ემყარება. ----- , რომ სოციალური ინსტიტუტები ----- .

- (ა) ბოროტებაა / თუმცა, მეორე მხრივ, ისიც აშკარაა / ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს უწესებს
- (ბ) სასიკეთოა / შესაბამისად, არც ისაა სწორი / ხანდახან მაინც უწესებს ინდივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს
- (გ) სასიკეთოა / თუმცა, მეორე მხრივ, ისიც აშკარაა / ბევრ შემთხვევაში ინდივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს უწესებს
- (დ) ბოროტებაა / შესაბამისად, არც ისაა სწორი / თითქმის არასოდეს უწესებს ინდივიდს ზედმეტად მკაცრ შეზღუდვებს

28. უილიამ ტერნერი ხშირად ხატავდა ნისლიან ლონდონს, ნაწვიმარ ქუჩებს. ოსკარ უაილდი ამტკიცებდა, რომ ლონდონის ----- . ამ ----- გამოსჭვივის ხელოვნების ქმედითობის იდეა. ----- , ის ----- .

- (ა) ნისლმა შექმნა ტერნერის ფერწერა / შეფასებაში / ხელოვნების ქმედითობას განაპირობებს სამყაროს მრავალფეროვნება / ვერ ქმნის სამყაროს ხედვის წესს
- (ბ) ნისლი ტერნერის ფერწერამ შექმნა / პარადოქსულ მტკიცებაში / ხელოვნება აყალიბებს სამყაროს ხედვის წესს / ქმნის თვალს, რომელიც აღიქვამს სილამაზეს, ყურს, რომელიც სწვდება ბგერათა ჰარმონიას
- (გ) ნისლმა შექმნა ტერნერის ფერწერა / შეფასებაში / ხელოვნება აყალიბებს სამყაროს ხედვის წესს / სრულყოფილად ვერ ასახავს სამყაროს ფერადოვნებას
- (დ) ნისლი ტერნერის ფერწერამ შექმნა / პარადოქსულ მტკიცებაში / ხელოვნების ქმედითობას განაპირობებს სამყაროს მრავალფეროვნება / ქმნის თვალს, რომელიც აღიქვამს სილამაზეს, ყურს, რომელიც სწვდება ბგერათა ჰარმონიას

29. მართალია, რაინდობის პრაქტიკა თავის თეორიულ სტანდარტს უფრო მეტადაც კი ----- , ვიდრე ჩვეულებრივ ----- , ის მაინც რჩება ზნეობის ისტორიის ერთ-ერთ უძვირფასეს ძეგლად. ეს არის შესანიშნავი მაგალითი ----- საზოგადოების ორგანიზებული მცდელობისა, პრაქტიკაში დაენერგა ზნეობრივი იდეალი, ----- მის სოციალურ მდგომარეობასა და ინსტიტუტებს.

- (ა) ჩამოუვარდებოდა / ჩამოუვარდება პრაქტიკა თეორიას / არაორგანიზებული და დაქსაქსული / ბევრად რომ უსწრებდა წინ
- (ბ) შეესაბამებოდა / შეესაბამება პრაქტიკა თეორიას / მოწესრიგებული / ბევრად რომ უსწრებდა წინ
- (გ) შეესაბამებოდა / შეესაბამება პრაქტიკა თეორიას / არაორგანიზებული და დაქსაქსული / ბევრად რომ ჩამორჩებოდა
- (დ) ჩამოუვარდებოდა / ჩამოუვარდება პრაქტიკა თეორიას / მოწესრიგებული / ბევრად რომ ჩამორჩებოდა

30. მითის ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებთან ----- , რადგან მითი თავისუფალი ----- იგი ----- . ამიტომ მითოსის მკვლევართათვის ----- .

- (ა) ხშირად მსგავსია, ზოგჯერ იდენტურიც / გამონაგონი არ არის / დაწურული ფორმით მოცემული მსოფლიოს სურათია / სიუჟეტური სქემის იდენტურობა ადვილად ასახსნელია
- (ბ) ყოველთვის სხვადასხვაგვარია / გამონაგონი არ არის / მსოფლიოს მრავალფეროვნების ილუსტრირებას წარმოადგენს / სიუჟეტური სქემის იდენტურობა ადვილად ასახსნელია
- (გ) ხშირად მსგავსია, ზოგჯერ იდენტურიც / გამონაგონია / დაწურული ფორმით მოცემული მსოფლიოს სურათია / სიუჟეტთა ნაირგვარობა ძნელად ასახსნელი არაა
- (დ) ყოველთვის სხვადასხვაგვარია / გამონაგონია / მსოფლიოს მრავალფეროვნების ილუსტრირებას წარმოადგენს / სიუჟეტთა ნაირგვარობა ძნელად ასახსნელია

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

31. მაგიდაზე ერთ რიგად აწყვია ხუთი ფირფიტა. იქვეა საღებავები და ფუნჯები. სანდრომ თითოეულ ფირფიტას უნდა გაუკეთოს ერთი ზოლი – წითელი ან ლურჯი, თანაც ისე, რომ შესრულდეს შემდეგი ორი პირობა:

- წითელზოლიანი ფირფიტები ლურჯზოლიან ფირფიტებზე მეტი იყოს
- ერთმანეთის მიყოლებით მდებარე სამი ფირფიტიდან ერთი მაინც იყოს ლურჯზოლიანი

სანდროს ამის გაკეთება ბევრნაირად შეუძლია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ვითარება განხორციელდება ყველა შემთხვევაში?

- (ა) მეორე ფირფიტას აქვს წითელი ზოლი
- (ბ) მესამე ან მეოთხე ფირფიტას (ან ორივეს) აქვს წითელი ზოლი
- (გ) პირველ ან მეხუთე ფირფიტას (ან ორივეს) აქვს წითელი ზოლი
- (დ) მეოთხე ფირფიტას აქვს ლურჯი ზოლი

32. მოცემულია:

- ხოხობი არ მიეკუთვნება ბელურასებრთა ოჯახს
- ამ ტყეში ბელურასებრთა ბევრი სხვადასხვა სახეობაა გავრცელებული

მაშასადამე, ამ ტყეში ხოხობები არ ბუდობენ.

ეს დასკვნა:

- (ა) გამომდინარეობს ორივე დებულებიდან, მაგრამ არ გამომდინარეობს არც ერთიდან
ცალ-ცალკე
- (ბ) გამომდინარეობს თითოეული დებულებიდან ცალ-ცალკე
- (გ) გამომდინარეობს მხოლოდ ერთ-ერთი დებულებიდან
- (დ) არ გამომდინარეობს მოცემული დებულებებიდან

33. ევროპის ერთ-ერთ დიდ ქალაქში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქალაქის ცენტრალური რაიონების საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხი გაუარესდა. ექსპერტთა მოსაზრებით, ამის მიზეზი გარეუბნებთან სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესებაა, რამაც ცენტრში დასაქმებულ საშუალო ფენას შესაძლებლობა მისცა, უფრო პრესტიჟულ გარეუბნებში გადასულიყო საცხოვრებლად, ცენტრში კი კონცენტრირებული აღმოჩნდა ყველაზე დაბალი სოციალური ფენა, რომელსაც ნაკლებად აქვს საკუთარი ინტერესების დასაცავად საჭირო პოლიტიკური ძალა.

რას ემყარება ექსპერტთა მოსაზრება?

- (ა) დიდი ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებს შორის იაფი და სწრაფი სატრანსპორტო კავშირი ყოველთვის იწვევს ცენტრალური უბნების განათლების სისტემის კრიზისს
- (ბ) ამა თუ იმ უბნის მოსახლეობის პოლიტიკური ძალა განსაზღვრავს, რამდენად მაღალი ხარისხისაა აქ სოციალური სამსახურები, მათ შორის, განათლების სისტემა
- (გ) ცენტრში ცხოვრება ახალი სატრანსპორტო კავშირის დამყარებამდეც ნაკლებად პრესტიჟული იყო, მაგრამ აქ არსებულ სკოლებში სწავლების ხარისხის გაუარესება კიდევ უფრო არაპრესტიჟულს გახდის ცენტრალურ უბნებს
- (დ) საშუალო ფენის გარეუბნებში გადასახლება იმიტომ აისახა უარყოფითად ცენტრალურ უბნებში სწავლების ხარისხზე, რომ გარეუბნებში საცხოვრებლად გადავიდნენ სკოლის მასწავლებლებიც, რომლებიც საშუალო ფენას მიეკუთვნებიან

34. სოფომ და თეონამ ახალგაზრდა პიანისტის საკონცერტო პროგრამა წაიკითხეს. პროგრამის შინაარსით გიორგიც დაინტერესდა.

სოფომ: თუ პიანისტი შეასრულებს ბახის ფუგას, მაშინ ის არ შეასრულებს მოცარტის სონატას.

თეონა: თუ პიანისტი შეასრულებს ბახის ფუგას, მაშინ ის შეასრულებს მოცარტის სონატასაც.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს გოგონების საუბრიდან, თუ ცნობილია, რომ ორივე გოგონამ სიმართლე თქვა?

- (ა) პიანისტი არ შეასრულებს მოცარტის სონატას
- (ბ) პიანისტი არ შეასრულებს ბახის ფუგას
- (გ) პიანისტი შეასრულებს ბახის ფუგასაც და მოცარტის სონატასაც
- (დ) ზემოთ მოცემული პასუხებიდან არც ერთი არ არის სწორი

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გააზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავისებურებების შესწავლისას საყურადღებოა ზოგიერთი ხერხი თუ მეთოდი, რომელსაც ისინი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იყენებენ. ამ მხრივ საინტერესოა პატარა ქვეყნების სპეციფიკური სტატუსის – ნეიტრალიტეტის – განხილვა. ტერმინი **ნეიტრალიტეტი** აღნიშნავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ფორმას, აგრეთვე, იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსს, რომელიც სხვა სახელმწიფოთა შორის მიმდინარე სამარ მოქმედებებში არ მონაწილეობს. ქვეყანა კარგავს ნეიტრალურის სტატუსს, როცა სამარ მოქმედებაში ჩაებმება, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ იგი აგრესორისგან იცავს თავს. ნეიტრალიტეტი მხოლოდ ერთი ქვეყნის არჩევანი კი არ არის, არამედ მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი „მოთამაშეების“ ურთიერთშეთანხმების პროდუქტია. ეს იმას გულისხმობს, რომ ერთი ქვეყნის სურვილი, იყოს ნეიტრალური, უნდა ემთხვეოდეს სხვა, დიდი და ძლიერი ქვეყნების სურვილს, იხილონ ამგვარი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე.

განასხვავებენ ნეიტრალიტეტის ორ ფორმას: **მუდმივს**, **ანუ ლეგალურს** – საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებულს, და **ტრადიციულს**, რომელიც სამართლებრივად არ არის გაფორმებული, მაგრამ გარკვეული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპადაა ქცეული.

ლეგალური ნეიტრალიტეტის სტატუსი ამჟამად მხოლოდ სამ სახელმწიფოს – შვეიცარიას, ავსტრიას და თურქმენეთს – აქვს მინიჭებული. ნეიტრალურად გამოცხადებულ სახელმწიფოს უფლება არ აქვს, საკუთარი სურვილით უარყოს თავისი სტატუსი. ის ვალდებულია, ყველაფერი იღონოს, რათა არ იქნეს ჩათრეული შეიარაღებულ კონფლიქტში და თავი აარიდოს ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია. მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებულია, შეინარჩუნოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მას არ შეუძლია, გახდეს რომელიმე ეკონომიკური გაერთიანებისა თუ საბაჟო კავშირის წევრი. თუმცა, მუდმივი ნეიტრალიტეტი პასიური საგარეო პოლიტიკის გატარებას არ გულისხმობს – ნეიტრალურ ქვეყანას შეუძლია აქტიურად დაიცვას საკუთარი ინტერესები. მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსით სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარანტიები ენიჭება, სხვა სახელმწიფოებს კი – იმის გარანტიები, რომ ნეიტრალური ქვეყანა მშვიდობიანი იქნება და თავს აარიდებს ყველა შესაძლო კონფლიქტს.

ტრადიციული ნეიტრალიტეტის შემთხვევაში სახელმწიფო ატარებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, თუმცა, სამართლებრივად მას არ ეკისრება ამ სტატუსით გათვალისწინებული ვალდებულებები. ევროპის ოთხი „დამსახურებული“ ნეიტრალური სახელმწიფოდან ორი (შვეიცარია და ავსტრია) ლეგალური ნეიტრალიტეტის სტატუსით სარგებლობს, ხოლო დანარჩენი ორი (ფინეთი და შვედეთი), უკვე კარგა ხანია, ნეიტრალიტეტს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად აღიარებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნეიტრალიტეტზე უარი არც ერთ ნეიტრალურ სახელმწიფოს არ უთქვამს. ნეიტრალურმა ქვეყნებმა საკუთარი ნეიტრალიტეტი აქტიურ საგარეო პოლიტიკას შეუთავსეს და არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნეს, არამედ ძლიერი ეკონომიკის განვითარებაც მოახერხეს. თუმცა, მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოების რიცხვი არ იზრდება. მეტიც, შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ, ეკონომიკური ურთიერთკავშირების გაძლიერებამ განაპირობოს ის, რომ მომავალში მათ ამ სტატუსით აღარც იარსებონ. გარდა ამისა, პოლიტიკური პროცესებიც იმ მიმართულებით ვითარდება, რომ ნეიტრალიტეტი ზოგიერთ ქვეყანას დამოუკიდებლობის ნაკლებ გარანტიებს შეუქმნის, ვიდრე რომელიმე ძლიერ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანება.

35. პირველ აბზაცში:

- (ა) დასმულია საკითხი გარკვეული პოლიტიკური ფენომენის შესახებ; მოცემულია მისი ძირითადი მახასიათებლები; მითითებულია ამ ფენომენის განმაპირობებელი ფაქტორები
- (ბ) დასაბუთებულია ერთ-ერთი პოლიტიკური ფენომენის შესწავლის აუცილებლობა; დასახელებულია ამ ფენომენის აღმოცენების პირობები; განხილულია მისი არსებობის მიზეზები
- (გ) მითითებულია პოლიტიკური ურთიერთობის ერთ-ერთი სახე; გამოკვეთილია მისი განმაპირობებელი ფაქტორები; დახასიათებულია ამ ურთიერთობის პოზიტიური შედეგები
- (დ) განხილულია პოლიტიკური უსაფრთხოების დაცვის ხერხები; წარმოდგენილია მათი გამოყენების თავისებურებები; მითითებულია უსაფრთხოების განმსაზღვრელი პირობები

36. წინადადება: „ერთი ქვეყნის სურვილი, იყოს ნეიტრალური, უნდა ემთხვეოდეს სხვა, დიდი და ძლიერი ქვეყნების სურვილს, იხილონ ამგვარი ქვეყანა მსოფლიო რუკაზე“
გულისხმობს, რომ:

- (ა) ქვეყანა შეინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, თუ მას ექნება ძლიერი ქვეყნების აგრესიული ქმედებებისგან თავდაცვის შესაძლებლობა
- (ბ) ქვეყანა მოიპოვებს ნეიტრალიტეტის სტატუსს, თუ მის მიმართ სხვა ქვეყნებს არ ექნებათ გარკვეული სახის პრეტენზიები
- (გ) ნეიტრალიტეტის სტატუსი ქვეყანას უქმნის პირობას, დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო რუკაზე
- (დ) ნეიტრალიტეტის სტატუსი ქვეყანას ავალდებულებს, თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისგან ნებისმიერ სიტუაციაში

37. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელში არ არის სწორად აღწერილი მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე ქვეყნების უფლებები?

- (ა) მათ უფლება აქვთ, შეიარაღებული გზით დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა, თუმცა, ამ მიზნით ისინი ვერ შეძლებენ რომელიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანებას
- (ბ) მათ უფლება აქვთ, გაატარონ დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, თუმცა, არ შეუძლიათ, სხვა სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად შეიცვალონ სტატუსი
- (გ) მათ შეუძლიათ სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლობის გარანტიების მიღება, ამასთან, არ აქვთ უფლება, ჩაერთონ საერთაშორისო კონფლიქტში
- (დ) მათ შეუძლიათ, აქტიურად დაიცვან საკუთარი ინტერესები, ამასთან, უფლება არ აქვთ, უარი თქვან სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე

38. რა მნიშვნელობით არის გამოყენებული IV აბზაცში სიტყვა „დამსახურებული“ ნეიტრალურ ქვეყნებთან მიმართებაში?

- (ა) ამ ქვეყნებმა შექმნეს საერთაშორისო უსაფრთხოების მტკიცე გარანტიები
- (ბ) ამ ქვეყნებს ნეიტრალიტეტის სამართლებრივი სტატუსი მიენიჭათ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შედეგად
- (გ) ეს ქვეყნები მრავალი წლის განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ კონფლიქტში ჩაურევლობის პრინციპებს
- (დ) ეს ქვეყნები მიეკუთვნებიან იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებმაც მოიპოვეს დამოუკიდებელი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გარანტიები

39. ლეგალური და ტრადიციული ნეიტრალიტეტის შედარების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

- (ა) I შემთხვევაში ნეიტრალიტეტი მხოლოდ სხვა სახელმწიფოების მხრიდან დაკისრებული ვალდებულებაა, ხოლო II შემთხვევაში – საერთაშორისო შეთანხმების შედეგი
- (ბ) I შემთხვევაში ნეიტრალიტეტი სამართლებრივად გაფორმებული პოლიტიკური შეთანხმების შედეგია, ხოლო II შემთხვევაში – ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ნების გამოხატულება
- (გ) როგორც I, ასევე, II შემთხვევაში ნეიტრალიტეტის სტატუსი ავალდებულებს ქვეყანას, უპირატესობა მიანიჭოს არა საკუთარ, არამედ – სხვა სახელმწიფოების ინტერესებს
- (დ) როგორც I, ასევე, II შემთხვევაში ნეიტრალურ ქვეყანას არ შეუძლია აქტიურად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც გამორიცხავს მის მიერ საერთაშორისო დაძაბულობის შექმნას

40. რომელი დებულება გადმოსცემს მართებულად ბოლო აბზაცის ძირითად აზრს?

- (ა) ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, მიუხედავად ამისა, ძნელია მისი შეთავსება მსოფლიო გლობალიზაციის ტენდენციებთან
- (ბ) ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე ქვეყნებმა შეიძლება მომავალში აღარ იარსებონ, რადგან ეს სტატუსი მათ ყოველგვარ ინიციატივას ზღუდავს და მსოფლიო პოლიტიკაში ჩაურევლობას მოითხოვს
- (გ) ნეიტრალიტეტის პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარებას, სავარაუდოდ, მოჰყვება პატარა ქვეყნების ეკონომიკურად გაძლიერება, რაც ეწინააღმდეგება მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვან „მოთამაშეთა“ ინტერესებს
- (დ) ნეიტრალიტეტზე უარის თქმა სახელმწიფოსთვის პოლიტიკურად მომგებიანი არ არის, რადგან ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანება მას დამოუკიდებლობის მეტ გარანტიებს ვერ უქმნის

შავი სამუშაოსთვის

შავი სამუშაოსთვის

მათემატიკური ნაწილი

ტესტის მათემატიკურ ნაწილზე მუშაობისას გაითვალისწინეთ:

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, არაა შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე;
- თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები:

1. ნული არც დადებითია და არც უარყოფითი;
1 არ არის მარტივი რიცხვი.

2. პროცენტი: a რიცხვის $k\%$ არის $a \cdot \frac{k}{100}$.

3. ხარისხი: $a^n = a \cdot a \cdot a \cdot \dots \cdot a$ (n -ჯერ)

$$a^n \cdot a^m = a^{n+m}$$

$$a^n : a^m = a^{n-m}$$

$$(a^n)^m = a^{n \cdot m}$$

4. პროპორცია: თუ $\frac{a}{b} = \frac{c}{d}$, მაშინ $ad = bc$.

5. სიჩქარე: $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$

6. საშუალო არითმეტიკული:

$$\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}}$$

7. ალბათობა: თუ ყველა ელემენტარული ხდომილება თანაბრად მოსალოდნელია, მაშინ ხდომილების ალბათობა ტოლია ამ ხდომილების ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილებათა რაოდენობის შეფარდებისა ელემენტარულ ხდომილებათა საერთო რაოდენობასთან.

თუ ამოცანის პირობაში საწინააღმდეგო არაა ნათქვამი, ყოველთვის იგულისხმება, რომ ელემენტარული ხდომილებები თანაბრად მოსალოდნელია.

8. შემოკლებული გამრავლების ფორმულები:

$$(a + b)^2 = a^2 + 2ab + b^2$$


$$(a - b)^2 = a^2 - 2ab + b^2$$

$$(a + b)(a - b) = a^2 - b^2$$

9. ნახაზზე კუთხე შეიძლება


მონიშნული იყოს კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით, მართი კუთხე კი - პატარა კვადრატით.

$\angle A$ აღნიშნავს A კუთხის სიდიდეს.



10. პარალელური წრფეები:

ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია: $\alpha = \beta$.




11. სამკუთხედი:

• სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 180° -ის ტოლია;

• პითაგორას თეორემა:

მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრეტი კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის ტოლია:



$$AB^2 = AC^2 + BC^2$$

• სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია: $S = \frac{ah}{2}$.

12. ოთხკუთხედი:

• ოთხკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 360° -ის ტოლია;

• მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია: $S = ab$;

• პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდის შესაბამისი სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $S = ah$.

13. წრე, წრეწირი:

• წრეწირის სიგრძე L მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით: $L = 2\pi r$;

π რიცხვი, მესადის სიზუსტით, 3,14-ის ტოლია;


• r რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით: $S = \pi r^2$.



14. მართკუთხა პარალელებიპედი:

• მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $V = abc$;

• კუბის შემთხვევაში: $a = b = c$.



რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
--	-----	-----	--

41.	$3,7 \cdot 52$	$37 \cdot 5,2$	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	----------------	----------------	-----------------

42.	გოგონებმა უფრო მეტი სოკო შეაგროვეს, ვიდრე ბიჭებმა. გოგონებიდან ყველაზე მეტი სოკო შეაგროვა ანამ, ხოლო ბიჭებიდან – სანდრომ.	ანას მიერ შეგროვებული სოკოს რაოდენობა	სანდროს მიერ შეგროვებული სოკოს რაოდენობა	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	---	---------------------------------------	--	-----------------

43.	რომბის გვერდის სიგრძეა a , მცირე დიაგონალისა – d .	a	d	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	--	-----	-----	-----------------

44.	x და y ისეთი რიცხვებია, რომ $x < 0$ და $x + y > 0$.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	მანძილი რიცხვთა ღერძზე x -ის შესაბამისი წერტილიდან სათავემდე	მანძილი რიცხვთა ღერძზე y -ის შესაბამისი წერტილიდან სათავემდე	

45.	საერთო ცენტრის მქონე ორი წრეწირიდან ერთის რადიუსის სიგრძეა 3 სმ, მეორისა – 8 სმ. AOB სამკუთხედის A წვერო ერთ-ერთ წრეწირზე მდებარეობს, B – მეორეზე, ხოლო O წვერო ამ წრეწირთა საერთო ცენტრს ემთხვევა.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	AOB სამკუთხედის პერიმეტრი	22 სმ	

46.	a ნაკლებია 3-ზე. a და b რიცხვების საშუალო არითმეტიკული მეტია 7-ზე.		(ა) (ბ) (გ) (დ)
	b	10	

ამოცანები

47. 44-ის და 51-ის ერთ-ერთ ნატურალურ რიცხვზე გაყოფისას მიღებული ნაშთები, შესაბამისად, 4-ის და 3-ის ტოლია. რომელია ეს ნატურალური რიცხვი?

- (ა) 9
- (ბ) 8
- (გ) 7
- (დ) 6
- (ე) 5

48. თუ $y = -1$, მაშინ $-(1+2y^2)(1+2y+y^3) =$


- (ა) -12
- (ბ) -6
- (გ) 0
- (დ) 6
- (ე) 12

49. კვლევაში სულ 57 სტუდენტი მონაწილეობდა, რომლებიც რამდენიმე ჯგუფში გაანაწილეს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს იმ ჯგუფების რაოდენობა, რომლებშიც სტუდენტების რაოდენობა კენტია?

- (ა) 2
- (ბ) 3
- (გ) 4
- (დ) 6
- (ე) 10

50. a და b სამკუთხედების წვეროები ტოლუჯრედებიანი ბადის კვანძებს ემთხვევა (იხ. ნახაზი). რისი ტოლია a -ს ფართობის შეფარდება b -ს ფართობთან?

- (ა) $\frac{3}{2}$
- (ბ) $\frac{8}{5}$
- (გ) $\frac{7}{4}$
- (დ) $\frac{9}{5}$
- (ე) $\frac{5}{3}$



51. რამდენით მეტია უდიდესი სამნიშნა რიცხვი იმ სამნიშნა რიცხვებიდან უდიდესზე, რომელთა ციფრების ჯამი 17-ის ტოლია?

- (ა) 17-ით
- (ბ) 18-ით
- (გ) 19-ით
- (დ) 20-ით
- (ე) 21-ით

მონაცემთა ანალიზი

ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ათასი სრულწლოვანი ადამიანი იყო დასაქმებული დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 2003-2007 წლებში, ამასთან, 2007 წლის მონაცემები მოყვანილია კვარტალთა მიხედვით.

წელი და კვარტალი	აჭარა	იმერეთი	გურია	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
2003 წ.	32,00	33,6	4,4	18,3	2,3
2004 წ.	38,89	39,6	4,9	21,7	2,5
2005 წ.	36,00	37,4	5,0	20,9	3,3
2006 წ.	36,30	37,2	5,2	21,9	2,6
2007 წ. I კვ.	32,26	34,6	3,4	20,1	1,3
II კვ.	33,14	35,6	3,5	20,6	1,6
III კვ.	32,97	36,0	3,9	20,7	1,6
IV კვ.	33,83	36,6	3,9	20,3	1,8

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 2 შეკითხვას:

52. როდის აღემატებოდა გურიაში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დასაქმებულთა რაოდენობას 2-ჯერ?

- (ა) 2004 წელს
- (ბ) 2005 წელს
- (გ) 2006 წელს
- (დ) 2007 წლის I კვარტალში
- (ე) 2007 წლის III კვარტალში

53. დავუშვათ, რომ აჭარაში 2005 წელს 120 ათასი სრულწლოვანი ადამიანი ცხოვრობდა. ამ რეგიონის სრულწლოვან ადამიანთა რაოდენობის რამდენი პროცენტი ყოფილა დასაქმებული 2005 წელს?

- (ა) 10%
- (ბ) 15%
- (გ) 20%
- (დ) 25%
- (ე) 30%


ამოცანები

54. საკლების, მაკლებისა და მათი სხვაობის ჯამი 60-ის ტოლია. რისი ტოლია მაკლებისა და სხვაობის ჯამი?

- (ა) 15-ის
- (ბ) 20-ის
- (გ) 25-ის
- (დ) 30-ის
- (ე) 35-ის

55. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს იმ სამკუთხედის წვეროების კოორდინატები, რომელიც ნახაზზე მოცემული სამკუთხედის სიმეტრიულია y -ღერძის მიმართ?

- (ა) $(-4; 1)$, $(-2; 3)$, $(-4; 7)$
- (ბ) $(-2; 1)$, $(-4; 3)$, $(-2; 7)$
- (გ) $(-2; 1)$, $(0; 3)$, $(-1; 7)$
- (დ) $(4; -2)$, $(8; -6)$, $(4; -14)$
- (ე) $(-3; -1)$, $(-3; -6)$, $(-5; -3)$




56. კოლოფში ასანთის ღერები ეწყო. მათი რაოდენობა ჯერ გააორმაგეს, შემდეგ კი 10-ით შეამცირეს. ამის შემდეგ კოლოფში დარჩენილი ასანთის ღერების რაოდენობა ისევ გააორმაგეს, შემდეგ კი 10-ით შეამცირეს. ასე მოიქცნენ მესამედაც. ამის შედეგად კოლოფში ასანთის მხოლოდ 2 ღერი დარჩა. ასანთის რამდენი ღერი ეწყო კოლოფში თავდაპირველად?

- (ა) 5
- (ბ) 6
- (გ) 7
- (დ) 8
- (ე) 9

57. დავითს 2-ჯერ ნაკლები წიგნი აქვს, ვიდრე – ლევანს და 4-ჯერ მეტი, ვიდრე – შალვას. სამივეს ერთად 70-ზე ნაკლები წიგნი აქვს. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს დავითის წიგნების რაოდენობა?

- (ა) 16
- (ბ) 18
- (გ) 22
- (დ) 24
- (ე) 28

58. საერთო ცენტრის მქონე ორი წრეწირიდან ერთის რადიუსის სიგრძეა 1 სმ, მეორისა – 4 სმ. რამდენი კვადრატული სანტიმეტრია ამ წრეწირებით შემოსაზღვრული გამუქებული ფიგურის ფართობი?



- (ა) 3π
- (ბ) 5π
- (გ) 9π
- (დ) 15π
- (ე) 17π

59. მიმდევრობის მესამე წევრია 6, მეხუთე წევრი კი 1-ის ტოლია. რას უდრის ამ მიმდევრობის პირველი წევრი, თუ ცნობილია, რომ ამ მიმდევრობის ნებისმიერი წევრისა და მისი მომდევნო ორი წევრის ჯამი 10-ის ტოლია?

- (ა) 1
- (ბ) 3
- (გ) 5
- (დ) 6
- (ე) 10

60. ყუთში მხოლოდ წითელი, ლურჯი და თეთრი ფერის წინდებია. მინიმუმ რამდენი წინდა უნდა ამოვიღოთ ყუთიდან, მასში ჩაუხედავად, რომ მათგან **აუცილებლად** შედგეს 3 წყვილი? (წყვილს შეადგენს ორი ერთნაირი ფერის წინდა)

- (ა) 6
- (ბ) 7
- (გ) 8
- (დ) 9
- (ე) 10

რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
--	-----	-----	--


61.	ელენემ შაბათს მთელი თანხის $\frac{1}{5}$ ნაწილი დახარჯა, ხოლო კვირას – დარჩენილი თანხის $\frac{1}{3}$.		(ა) (ბ) (გ) (დ)	
	<table border="1" style="display: inline-table; margin-right: 20px;"> <tr> <td>ელენეს მიერ შაბათს დახარჯული თანხა</td> </tr> </table> <table border="1" style="display: inline-table;"> <tr> <td>ელენეს მიერ კვირას დახარჯული თანხა</td> </tr> </table>	ელენეს მიერ შაბათს დახარჯული თანხა	ელენეს მიერ კვირას დახარჯული თანხა	
ელენეს მიერ შაბათს დახარჯული თანხა				
ელენეს მიერ კვირას დახარჯული თანხა				

62.	$b < a$		(ა) (ბ) (გ) (დ)	
	<table border="1" style="display: inline-table; margin-right: 20px;"> <tr> <td>$3 - b$</td> </tr> </table> <table border="1" style="display: inline-table;"> <tr> <td>$2 - a$</td> </tr> </table>	$3 - b$	$2 - a$	
$3 - b$				
$2 - a$				

63.	12-გვერდიანი გაზეთის გვერდების დასანომრად, სხვა ციფრებთან ერთად, საჭიროა ხუთი 1-იანი.		(ა) (ბ) (გ) (დ)	
	<table border="1" style="display: inline-table; margin-right: 20px;"> <tr> <td>400-გვერდიანი წიგნის გვერდების დასანომრად საჭირო 5-იანების რაოდენობა</td> </tr> </table> <table border="1" style="display: inline-table;"> <tr> <td>400-გვერდიანი წიგნის გვერდების დასანომრად საჭირო 8-იანების რაოდენობა</td> </tr> </table>	400-გვერდიანი წიგნის გვერდების დასანომრად საჭირო 5-იანების რაოდენობა	400-გვერდიანი წიგნის გვერდების დასანომრად საჭირო 8-იანების რაოდენობა	
400-გვერდიანი წიგნის გვერდების დასანომრად საჭირო 5-იანების რაოდენობა				
400-გვერდიანი წიგნის გვერდების დასანომრად საჭირო 8-იანების რაოდენობა				


64.	<p>ვანოს ჰონორარის ორი მესამედი თენგიზის ჰონორარის ორ მესამედზე 240 ლარით მეტია.</p> <p>ვანოს და თენგიზის ჰონორართა სხვაობა</p>	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
	<p>360 ლარი</p>	

65.	<p>ნებისმიერი a რიცხვისთვის a^*-ით აღნიშნულია a-ზე მეტი უმცირესი მთელი რიცხვი, ხოლო $a^\#$-ით – a-ზე ნაკლები უდიდესი მთელი რიცხვი.</p> <p>$(a - 3^*)^\#$</p> <p>$(a^\# - 3)^*$</p>	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
-----	---	------------------------

66.	<p>AMND მართკუთხედის ფართობის შეფარდება ABCD მართკუთხედის ფართობთან $\frac{1}{4}$-ის ტოლია.</p> <p>AMND მართკუთხედის პერიმეტრის შეფარდება ABCD მართკუთხედის პერიმეტრთან</p>	 <p>$\frac{1}{4}$</p>	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
-----	--	--	------------------------

ამოცანები

67. მართკუთხა პარალელეპიპედში 9 ერთნაირი კუბი ისეა განლაგებული, რომ ყოველ ორ მეზობელ კუბს ერთი წახნაგი საერთო აქვს (იხ. ნახაზი). სულ რამდენი ასეთი კუბი ჩაეტევა ამ მართკუთხა პარალელეპიპედში?



- (ა) 27
- (ბ) 30
- (გ) 36
- (დ) 40
- (ე) 45

68. ჩამოთვლილთაგან რომელი ნამრავლი იყოფა უნაშთოდ 60-ზე?

- (ა) $2 \cdot 10 \cdot 25 \cdot 28$
- (ბ) $4 \cdot 6 \cdot 12 \cdot 28$
- (გ) $10 \cdot 15 \cdot 25 \cdot 45$
- (დ) $14 \cdot 25 \cdot 27 \cdot 35$
- (ე) $14 \cdot 21 \cdot 25 \cdot 34$

69. რიცხვები 2, x , y , 4,8 ზრდის მიხედვითაა დალაგებული. განსხვავება ყოველ ორ მეზობელ რიცხვს შორის 1-ზე ნაკლებია. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს x ?


- (ა) 2,5
- (ბ) 2,6
- (გ) 2,7
- (დ) 2,8
- (ე) 2,9

70. ლიას 2 ვაჟი ჰყავს. საახალწლოდ ლიამ ვაჟებს საჩუქრად ერთნაირად შეფუთული 4 წიგნი შესთავაზა, რომელთაგან ორი მოთხრობების კრებული იყო, ხოლო დანარჩენი – ლექსებისა. თითოეულ ვაჟს თითო წიგნი უნდა აეღო. რისი ტოლია იმის ალბათობა, რომ ორივე ვაჟს მოთხრობების კრებული შეხვდება?


- (ა) $\frac{1}{2}$
- (ბ) $\frac{1}{3}$
- (გ) $\frac{1}{4}$
- (დ) $\frac{1}{6}$
- (ე) $\frac{1}{12}$

მონაცემთა ანალიზი

გრაფიკზე წარმოდგენილია მონაცემები იმის შესახებ, თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითოეული საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მოსწავლეთა რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ამავე საფეხურის იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც ხელოვნებასაც ასწავლიდნენ 2003/2004 – 2007/2008 სასწავლო წლებში. მაგალითად, გრაფიკის მიხედვით ვარკვევთ, რომ 2003/2004 სასწავლო წელს ხელოვნებას საბაზო სკოლის მოსწავლეთა 12% შეისწავლიდა.



დიაგრამაზე კი წარმოდგენილია მონაცემები იმის შესახებ, თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითოეულ საფეხურზე ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ცეკვის, მუსიკის, ხატვის თუ ხელოვნების სხვა დარგების შემსწავლელ მოსწავლეთა რაოდენობები 2007/2008 სასწავლო წელს. მაგალითად, დიაგრამის მიხედვით ვარკვევთ, რომ 2007/2008 სასწავლო წელს დაწყებით სკოლაში ცეკვას შეისწავლიდა დაწყებით სკოლაში ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა 40%.



გრაფიკისა და დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 4 შეკითხვას:

71. რომელ სასწავლო წელს იყო ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა წილი დაწყებით სკოლაში 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე – საშუალო სკოლაში?

- (ა) 2003/2004 სასწავლო წელს
- (ბ) 2004/2005 სასწავლო წელს
- (გ) 2005/2006 სასწავლო წელს
- (დ) 2006/2007 სასწავლო წელს
- (ე) 2007/2008 სასწავლო წელს

72. რამდენით ნაკლებია 2006/2007 სასწავლო წელს საბაზო სკოლაში ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი წინა სასწავლო წლის შესაბამის მაჩვენებელზე?

- (ა) 1-ით
- (ბ) 2-ით
- (გ) 3-ით
- (დ) 4-ით
- (ე) 5-ით

73. ხელოვნების შემსწავლელ მოსწავლეთა რამდენი პროცენტი სწავლობდა მუსიკას დაწყებით სკოლაში 2007/2008 სასწავლო წელს?

- (ა) 10%
- (ბ) 20%
- (გ) 30%
- (დ) 40%
- (ე) 50%

74. საშუალო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ხატვის შემსწავლელ მოსწავლეთა რაოდენობა 2007/2008 სასწავლო წელს?

- (ა) 1%
- (ბ) 1,5%
- (გ) 2%
- (დ) 2,5%
- (ე) 3%

ამოცანები

75. ფიგურის რადიუსის სიგრძე ვუწოდოთ ამ ფიგურის მომცველ წრეებს შორის უმცირესის რადიუსის სიგრძეს.

მართკუთხა სამკუთხედის კათეტების სიგრძეები ტოლია მართკუთხედის გვერდების სიგრძეებისა.



რისი ტოლია მართკუთხა სამკუთხედის რადიუსის სიგრძის შეფარდება მართკუთხედის რადიუსის სიგრძესთან?




- (ა) $\frac{1}{2}$ -ის
- (ბ) 1-ის
- (გ) $\frac{3}{2}$ -ის
- (დ) 2-ის
- (ე) $\frac{4}{3}$ -ის

76. თამარმა, ნათიამ, სოფომ და ელენემ ზღვის ნაპირას სულ 32 ნიჟარა შეაგროვეს. თამარმა ნათიას მისცა 7 ნიჟარა, ნათიამ სოფოს – 4 ნიჟარა, სოფომ ელენეს – 1 ნიჟარა, ხოლო ელენემ თამარს – 6 ნიჟარა. ამის შემდეგ ოთხივეს ტოლი რაოდენობის ნიჟარები აღმოაჩნდათ. რამდენი ნიჟარა შეუგროვებია სოფოს?

- (ა) 5
- (ბ) 6
- (გ) 7
- (დ) 8
- (ე) 9

77. რამდენი ჭიქა

გააწონასწორებს ჩაიდანსა და საშაქრეს მარჯვენა სასწორზე ?




- (ა) 7
- (ბ) 6
- (გ) 5
- (დ) 4
- (ე) 3

78. ერთ სიბრტყეზე მდებარე ორი წრეწირი ერთმანეთს კვეთს. ერთი წრეწირის რადიუსის სიგრძეა 2 სმ, ხოლო წრეწირთა ცენტრებს შორის მანძილი 17 სმ-ია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს მეორე წრეწირის რადიუსის სიგრძე?

- (ა) 13 სმ
- (ბ) 15 სმ
- (გ) 17 სმ
- (დ) 19 სმ
- (ე) 21 სმ

79. კუნძულზე, რომელზეც მხოლოდ ორი – A და B – დასასვენებელი კომპლექსია, ისვენებენ ფრანგი და ინგლისელი ტურისტები. ფრანგები ისვენებენ ორივე კომპლექსში, ხოლო ინგლისელები – მხოლოდ B კომპლექსში. დიაგრამებზე მოცემულია, ტურისტების რაოდენობის რა ნაწილს შეადგენდა ფრანგ და ინგლისელ ტურისტთა რაოდენობა B კომპლექსში და მთლიანად კუნძულზე.



სულ რამდენი ფრანგი ტურისტი ისვენებდა კუნძულზე, თუ A დასასვენებელ კომპლექსში 48 ფრანგი ტურისტი ისვენებდა?

- (ა) 48
- (ბ) 64
- (გ) 80
- (დ) 96
- (ე) 144

80. კლასის მოსწავლეთაგან 12 გოგონაა. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი არ შეიძლება იყოს ბიჭების რაოდენობის შეფარდება ამ კლასის მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან?

- (ა) $\frac{7}{13}$
- (ბ) $\frac{2}{3}$
- (გ) $\frac{7}{10}$
- (დ) $\frac{5}{8}$
- (ე) $\frac{4}{9}$

შავი სამუშაოსთვის

II ვახისნე



ზოგადი უნარების ტესტის
პასუხების ფურცელი

შტრიხოლის ადგილი

პროგრამა არჩეულ პასუხად აღიქვამს შემდეგ სიმბოლოს



შეცდომის შემთხვევაში უჯრა უნდა გაშავდეს მთლიანად



პირბაღური ნაწილი

ანალოგიები						წინადადებები			ლოზიკა				ტექსტი						
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა	×				×		×									×		×	
ბ			×	×								×			×		×		
გ		×						×			×		×						
დ				×		×			×	×				×					×

ანალოგიები						წინადადებები				ლოზიკა				ტექსტი					
21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
ა	×					×		×	×					×					×
ბ					×		×					×	×		×			×	
გ			×	×						×							×		
დ		×		×							×					×			

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შეფარება						სამოცანები					მოწვევით ანალოზი		სამოცანები						
41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60
ა					×				×							×			
ბ			×	×		×		×						×				×	
გ	×									×	×								×
დ		×	×				×						×				×		
ე												×			×				

რაოდენობრივი შეფარება						სამოცანები				მოწვევით ანალოზი				სამოცანები					
61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80
ა		×			×								×		×				
ბ	×			×						×				×					
გ			×	×								×					×		
დ									×		×					×		×	
ე						×	×	×											×

" გავეცანი პასუხების მონიშვნის ინსტრუქციას და მზად ვარ, დავიწყო მუშაობა "